სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი

Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА“ на грузинском языке

№ 134 (248) | კვირა, 3 დეკემბერი. | 1944 წ.

წითელმა არმიამ დაამთავრა ჰიტლერული სიბილწისაგან მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლება და ახლა ეხმარება პოლონეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის ხალხებს ფაშისტური მონობის ბორკილის დამსხვრევასა და მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენაში.

(უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის № 220 ბრძანებიდან).

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ მალინოვსკის ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ ზახაროვს

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, დღეს, 30 ნოემბერს, დაიკავეს უნგრეთის საოლქო ცენტრები — ქალაქები ეგერი და სიქსო — კომუნიკაციების დიდი კვანძები და მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები.

ქალაქების ეგერისა და სიქსოს დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ შმარჩენკოს, გენერალ-პოლკოვნიკ ტროფიმენკოს, გენერალ-ლეიტენანტ მანაგაროვის, გენერალ-მაიორ ოსტაშენკოს, გენერალ-მაიორ მერკულოვის, გენერალ-მაიორ შმანსკის, გენერალ-მაიორ ოგოროდოვის, გენერალ-მაიორ კონევის, გენერალ-მაიორ ესინის, გენერალ-მაიორ ტიმოშკოვის, პოლკოვნიკ ბოჩკოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ ზიკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ყორეცკის, პოლკოვნიკ საგაჩის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ კურკინის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ გორიუნოვის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ პეტროვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ტუპიჩევის მესანგრეებმა; პოლკოვნიკ გორელკინის, პოლკოვნიკ მაკარენკოს, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკ კარპოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების ეგერისა და სიქსოს დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 30 ნოემბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ასოცდათხუთმეტი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქები ეგერი და სიქსო.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქების ეგერისა და სიქსოს დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1944 წლის 30 ნოემბერი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ ტოლბუხინს ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ ივანოვს

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა განავითარეს შეტევა, ორი დღის განმავლობაში დაიკავეს უნგრეთის საოლქო და რაიონული ცენტრები ქალაქები სეკსარდი, კაპოშვარი, პაკში, ბონხადი, დომბოვარი — კომუნიკაციათა დიდი კვანძები და მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 300-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

ქალაქების სეკსარდის, კაპოშვარის, პაკშის, ბონხადის და დომბოვარის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს არმიის გენერალ ზახაროვის, გენერალ-ლეიტენანტ შაროხინის, გენერალ-მაიორ ბირიუკოვის, გენერალ-მაიორ ბობრუკის, გენერალ-ლეიტენანტ მოროზოვის, პოლკოვნიკ მოშლიაკის, პოლკოვნიკ ჩიჟოვის, პოლკოვნიკ დრიჩკინის, პოდპოლკოვნიკ ბრანსბურგის, გენერალ-მაიორ გორბაჩოვის, პოლკოვნიკ პეტრუშინის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ნედელინის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ვოზნიუკის, არტილერიის გენერალ-მაიორ ციკალოს, პოლკოვნიკ ბოხარევიჩის, არტილერიის გენერალ-მაიორ რატოვის, პოლკოვნიკ ლინიკის, პოდპოლკოვნიკ ჩეპურინის, პოლკოვნიკ მელკოვსკის, პოდპოლკოვნიკ რომანცოვის არტილერისტებმა; ვიცე-ადმირალ გორშკოვის, მე-2 რანგის კაპიტან დერჟავინის, პოლკოვნიკ სმირნოვის დუნაის სამხედრო ფლოტილიის ნაწილებმა და ხომალდებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ სუხორუჩკინის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ სუდეცის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ კოტლიარის, პოლკოვნიკ მალოვის, პოდპოლკოვნიკ კორნეევის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კოროლიოვის, პოდპოლკოვნიკ სუხიხის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების სეკსარდის, კაპოშვარის, პაკშის, ბონხადის და დომბოვარის დაკავებისათვის ბრძოლებში წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 2 დეკემბერს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდათხუთმეტი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, მათ შორის დუნაის სამხედრო ფლოტილიის ნაწილებსა და ხომალდებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქები სეკსარდი, კაპოშვარი, პაკში, ბონხადი და დომბოვარი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქების სეკსარდის, კაპოშვარის, პაკშის, ბონხადის და დომბოვარის დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1944 წლის 2 დეკემბერი.

საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაურის გენერალ დე გოლის განცხადება

მოსკოვში ჩამოსვლის დღეს ვაგზალზე კინო-ქრონიკის მიკროფონთან საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაურმა გენერალმა დე გოლმა შემდეგი განაცხადა:

„მე ბედნიერებად და სასიამოვნოდ მიმაჩნია, რომ ვიმყოფები საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, სადაც გამოვთქვამ ხალხის გრძნობებს საფრანგეთისას, რომელიც მოკავშირეა საბჭოთა კავშირისა გამარჯვების უზრუნველსაყოფად და შემდეგ მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად, რაც სავსებით მოუტანს კეთილდღეობას“.

ი. ბ. სტალინის საუბარი საფრანგეთის მთავრობის მეთაურ გენერალ დე გოლთან

2 დეკემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ბ. სტალინს საუბარი ჰქონდა საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე გენერალ დე გოლთან.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ა. ე. ბოგომოლოვი და საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენელი სსრ კავშირში ბ-ნი რ. გარო.

ვ. მ. მოლოტოვის საუბარი ბ-ნ ბიდოსთან

2 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ვ. მ. მოლოტოვს საუბარი ჰქონდა საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ჟ. ბიდოსთან.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ა. ე. ბოგომოლოვი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
2 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

2 დეკემბრის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ბრძოლებს განაგრძობენ პლაცდარმის გასაფართოებლად მდინარე ონდავის დასავლეთ ნაპირზე, დაიკავეს დასახლებული პუნქტები საჩუროვი, პოლიანკა, პარხოვიანი, ვიშნევი, დვორიანკი, ალბინი, ბრიადკი, სეჩოვცე, მალიე და ველიკიე ოზოროვცე, ველიკი და მალი რუსკოვი, პლეხოტიცე, ეგრეში, ქიპოვი, ლასტოვცე, ველიატი, გერჩელი, კაზოვი, ცეიკოვი, ჩერნოხოვი, ლადმოვცე, ბოლიკაია და მალაია ბარა, ხელმეცა, ბორშა და რკინიგზის სადგურები საჩუროვი, პოლიანკა, პარხოვიანი, სეჩოვცე, ბორშა.

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა განავითარეს შეტევა და ორი დღის განმავლობაში დაიკავეს უნგრეთის საოლქო და რაიონული ცენტრები ქალაქები სეკსარდი, კაპოშვარი, პაკში, ბონხადი, დომბოვარი — კომუნიკაციათა დიდი კვანძები და მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 300-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბელჩკე, მადოჩა, დუნაკემლედი, ნემეტკერი, დიერ-კენი, ნად-დოროგი, პაიდაჩი, უდვარი, დიენკი, ვარშადი, კალაზნო, ფელშენანა, ტეველი, კურდი, დებრიკეზი, შანტოში, კელერდი, ხარკანი და რკინიგზის სადგურები ბელჩკე,

(დასასრული მე-4 გვ.).

დიდების ორდენის კავალერი

ამიერ-კავკასიის ფრონტის მიერ აღზრდილი, დიდების ორდენის კავალერი, მეავტომატე უფროსი სერჟანტი აბელ ლაზარიანი. თავისი საბრძოლო გზა მან დაიწყო კავკასიის მთებში. იბრძოდა რა თამანის 89-ე დივიზიის შემადგენლობაში, იგი მივიდა სევასტოპოლამდე. ამჟამად ა. ლაზარიანი თავის თანამოიარაღეებთან — სომეხ მებრძოლებთან ერთად განაგრძობს გერმანელების განადგურებას ვისლას მიღმა. ამხ. ლაზარიანმა მოსპო მრავალი გერმანელი არამზადა.

ფოტო კრიმსკისა

აგიტატორები ენერგიულად მუშაობენ

ლეიტენანტ ქუთათელაძის ქვეგანაყოფის პირადი შემადგენლობა უდიდესი ინტერესით შეუდგა ამხანაგ სტალინის 1944 წლის 6 ნოემბრის ისტორიული მოხსენებისა და 7 ნოემბრის № 220 ბრძანების შესწავლას. პარტიულმა ორგანიზაციამ ყოველგვარი ზომები მიიღო პირადი შემადგენლობის მიერ სტალინური დოკუმენტების მშობლიურ ენაზე შესწავლისათვის. აგიტატორები ქუთათელაძე, გველესიანი, ნარიმანაშვილი და სხვ. ატარებენ ბელადის მოხსენებისა და ბრძანების ხმამაღალ კითხვას. საუბრის დროს აგიტატორები იყენებენ რუკებს, დიაგრამებს და დამხმარე ლიტერატურას. მებრძოლმა მანაგაძემ გადახატა ევროპისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური რუკები, სადაც ზუსტად არის აღნიშნული საომარ მოქმედებათა ასპარეზი. ეს რუკები სტალინური დოკუმენტების შესწავლის საქმეში მებრძოლებს დიდ დახმარებას უწევენ. დიდ დახმარებას უწევს აგრეთვე ფოტომონტაჟიც, რომელიც მათ თავისთავად... გააკეთეს.

აღსანიშნავია აგიტატორების მაქუტაძის, მოდებაძის, ქველიძისა და ჯარხალაშვილის მუშაობა. ისინი არ ზოგავენ თავიანთ ენერგიას, რათა სრულყოფილად შეასწავლონ მებრძოლებს ბელადის ბრძნული მოხსენებისა და ბრძანების თვითეული დებულება.

მებრძოლები: აბზიანიძე, რუხაძე, იაკობაშვილი, ჭოხონელიძე, სარალიძე, გაჩეჩილაძე და სხვ., რომლებიც სტალინური დოკუმენტების შესწავლაში მოწინავენი არიან, პრაქტიკულად იყენებენ ბელადის მითითებებს თავიანთი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების სრულყოფის საქმეში.

ეფრეიტორი გ. მანაგაძე.

ნამსახურობისათვის სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

30 ნოემბერს, ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარების სარდალმა არმიის გენერალმა ტიულენევმა საზეიმო ვითარებაში ჯილდოები გადასცა გენერალთა და ოფიცერთა დიდ ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 4-ივნისის ბრძანებულების შესაბამისად წითელ არმიაში ნამსახურობისათვის.

წითელ არმიაში მრავალი წლის და უმწიკვლო სამსახურისათვის სხვებთან ერთად წითელი დროშის ორდენი გადაეცა გენერალ-მაიორებს ეპელიანოვს, დემენტიევს, პოლკოვნიკებს დებოვს, ლევუშკინს, იოსავას, კულნევს, პრონინს, მკურტენკოს, ადმინისტრატიული სამსახურის პოდპოლკოვნიკ ივაკინს და სხვ.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ არმიის გენერალმა ამხ. ტიულენევმა მხურვალედ მიულოცა დაჯილდოებულებს და უსურვა მათ შემდგომი მიღწევები უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის მიერ წითელი არმიის წინაშე დასმული ამოცანების შესრულების საქმეში.

მაიდანეკში მომხდარ ბოროტმოქმედებათა მონაწილე ჰიტლერელთა გასამართლება

ლიუბლინი, 30 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ სასამართლოში, სადაც ასამართლებენ ექვს გერმანელ ფაშისტ ჯალათს, რომლებიც დამნაშავენი არიან მაიდანეკში დაპატიმრებულთა მკვლელობასა და წამებაში, დაიკითხა დაზარალებულთა დელეგატი. მათმა ჩვენებამ ერთხელ კიდევ გადაშალა იმ საშინელ ბოროტმოქმედებათა სურათი, რომლებსაც ჰიტლერელები მაიდანეკის სიკვდილის ბანაკში ჩადიოდნენ. მოწმეთა ჩვენებით, რომელთა დაკითხვასაც სასამართლო გუშინ შეუდგა, ბრალდებულნი გამოვლენილნი არიან როგორც ჯალათები და სადისტები.

მოწმეების ოლშანსკისა და ბიდრის სტანისლავსკის სიტყვით, რომელთაგან მეორემ მაიდანეკის ბანაკში თითქმის ორი წელი დაჰყო, განსაკუთრებით სასტიკ ჯალათად გამოირჩეოდა ბრალდებული ჰოლმანი, დამნაშავე-რეციდივისტი, რომელსაც წარსულში ბევრჯერ მოიხადა სასჯელი. ჰოლმანი გამოგზავნილი იყო მაიდანეკში როგორც წამებათა სპეციალისტი. მოწმეთა ერთსულოვანი აზრით, ამ ჯალათის სისხლიან ანგარიშზე ითვლება ბევრადაც მის მიერ მოკლული ორი ათასზე მეტი პატიმარი. იგი მასობრივ ძალადობას აწყობდა ქალების მიმართ.

მოწმე ბუძენმა, რომელიც მაიდანეკში მეთუთქედ მუშაობდა, სასამართლოში მოიყვანა მაიდანეკის გერმანელი ექიმის ბლიანკეს განცხადება. მაიდანეკში,—ცინიკურად აცხადებდა ბლიანკე,—შექმნილია ისეთი რეჟიმი, რომ ყოველგვარ გარეშე ჩარევლადაც კი კაცი უნდა მოკვდეს, ვინც თვითონ არ ილუპება, იმათ ჰკლავდნენ. სიკვდილით მასობრივად დასჯის დროს მსხვერპლთა რიცხვი რამდენიმე ასეულიდან მრავალ ათასამდე მერყეობდა.

1941 წლის ზამთარში, აცხადებენ მოწმენი, მაიდანეკს ხელმძღვან მოიყვანეს რამდენიმე ასეული საბჭოთა სამხედრო ტყვე, მათ შორის ორი პოდპოლკოვნიკი, ხუთი მაიორი, 15 კაპიტანი, რამდენიმე ათეული ლეიტენანტი და ბევრი რიგითი წითელარმიელი. ერთ კვირაზე ნაკლებ ხნის განმავლობაში ისინი ყველა ჩამოახრჩეს.

ერთხელ ბანაკში ერთბაშად დახვრიტეს სიკვდილით 18 ათასი კაცი.

რა იმალება მრავალრიცხოვან წრეებს იქით?

როცა შევეკითხეთ ბატალიონის პარტორგს უფროს ლეიტენანტ სოზიაშვილს, თუ როგორ მუშაობენ კომუნისტები თავიანთი იდეური დონის ამამაღლებლად, იგი დაუყოვნებლივ გაპასუხა:

— ამ მხრივ ჩვენთან ყველაფერი რიგზეა. მუშაობს 4 წრე, სადაც მეცადინეობს საკ. კ. პ. (ბ) 110 წევრი და კანდიდატი. ლინარჩენები კი დამოუკიდებლად სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს" და ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ".

— ჩვენ მოვიპოვეთ დიდი წარმატებები, — ამბობს ბატალიონის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში კაპიტანი კალანდია, რომელიც ასევე თითქმის ადასტურებს პარტორგის სიტყვებს.

მაგრამ ფაქტები გვიჩვენებენ, რომ კომუნისტების იდეური დონის ზრდის საქმეში ყველაფერი არ არის რიგზე. იმყურებენ რა პარტიული სწავლების წრეების ჩამოყალიბებას, ხელმძღვანელებმა დაივიწყეს მთავარი ბოლშევიკური პრინციპი დიფერენცირებული მიდგომა თვითეული კომუნისტისადმი. წრეები ჩამოყალიბებულ იქნა ამხანაგების თეორიული მომზადების გაუთვალისწინებლად, ამასთანავე მათი შემადგენლობა ჭრელია, იმ წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობს თვით პარტორგი, მეცადინეობენ პარტიის წევრები და კანდიდატები — სხვადასხვა თეორიული მომზადების მქონე რიგითი მებრძოლები, სერჟანტები და ოფიცრები. საშუალო განათლების მქონე კომუნისტებთან ერთად აქ არიან მცირეწიგნიერნიც კი.

იმ წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობს ზუმბულაძე მეცადინეობს წითელარმიელი ჯაგალაშვილი, რომელსაც საშუალო განათლება აქვს და უკვე შესწავლილი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", ამავე დროს აქვე არის სერჟანტი ბებია, რომელსაც აქვს ორკლასიანი განათლება. დაახლოებით ასეთივე სურათია დანარჩენ წრეებში. განა საჭიროებს მტკიცებას, რომ პარტიული განათლების წრეების ჩამოყალიბებისადმი ასეთ ფორმალურ მიდგომას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია?!

წრეების ჩამოყალიბებით გატაცებულმა პარტიულმა ხელმძღვანელებმა სავსებით დაივიწყეს ის კომუნისტები, რომლებიც დამოუკიდებლად მუშაობენ თავიანთ თავზე. საკ. კ. პ. (ბ) წევრებისა და კანდიდატების ძირითადი მასა პარტიულ ზეგავლენის მხედველობიდან გამორჩა. პარტორგმა იცის რამდენი კომუნისტი მეცადინეობს წრეებში, მაგრამ მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს დამოუკიდებლად მომუშავეებზე. აი უკვე მრავალი თვის განმავლობაში პარტორგს არ ესაუბრია არც ერთ კომუნისტთან იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობს ის. არც ერთ პარტიულ ხელმძღვანელს არ შეუძლია გიჩვენოს, თუ როგორ მუშაობს ესა თუ ის კომუნისტი, რა საკითხები აინტერესებს მას, რა დახმარება ესაჭიროება და სხვ.

პარტიული განათლების წრეების ჩამოყალიბება საჭირო და სასარგებლო საქმეა, მაგრამ, მათი ჩამოყალიბების დროს საჭიროა გვახსოვდეს, რომ კომუნისტების ძირითადი მასისათვის პარტიული განათლების მთავარ ფორმას წარმოადგენს დამოუკიდებელი მუშაობა. ამიტომ წრეების ჩამოყალიბება კი არ უარყოფს, არამედ, პირიქით, მოითხოვს მეთაურების ყურადღებას და კონკრეტულ კომუნისტების დამოუკიდებლად სწავლისადმი.

პარტბიურომ, რომელსაც სათავეში უდგას ლეიტენანტი სოზიაშვილი, დაივიწყა ეს ელემენტარული ჭეშმარიტება. ჩამოაყალიბა რა წრეები, პარტბიურო ჩამოშორდა კომუნისტების პოლიტიკურ თვითგანათლების ხელმძღვანელობის საქმეს და მისი ფორმალური მხარის იქით ვერ ამჩნევს სერიოზულ ნაკლოვანებებს პარტორგანიზაციის იდეურ მუშაობაში.

გვარდიის მაიორი შ. მაშრენკო.

ახალი ამოცანების წინაშე

ნ შენაერთის მსროლელ ქვეგანაყოფებს შორის ჩვენს ასეულს პირველი ადგილი უკავია. საინსპექტორო შემოწმებაზე ჩვენ მოწინავეთა რიცხვში ვიყავით. სასროლე მომზადებაში ყველა ვარჯიში „კარგი" და „ფრიადი" შეფასებით შევასრულეთ. ტაქტიკაში დავიკავეთ პირველი ადგილი. ჩვენთან არის უმცროსი ლეიტენანტ გაჯიევის ოცეული, რომელმაც მიიღო საუკეთესო შეფასება ყველა დისციპლინაში. ასეულში ცოტა როდია ფრიადოსანი მსროლელი და ახლო მანძილზე ბრძოლის ოსტატი.

ასეთი შედეგებით ვხვდებით ჩვენ ახალ სასწავლო წელს. თითქოს ყველაფერი რიგზეა: ცუდად არ ვისვრით, ტაქტიკურ ამოცანებსაც წარმატებით ვსწყვეტდით, დისციპლინაც მტკიცე გვაქვს. მაგრამ როდესაც წავიკითხავ სამხედრო საბჭოს ბრძანებას 1945 წლის სწავლების ამოცანების შესახებ და ყურადღებით დააკვირდები შენს ჯარისკაცებს, ბევრ რამეს დაინახავ გასაკეთებელს.

ჩვენი ასეული ძველმსახურ ჯარისკაცებისაგან შესდგება. მათი უმეტესობა ფრონტზე ნამყოფია, ასე რომ ყველა მათგანს სწავლების პირველი საფეხური დიდი ხანია გავლილი აქვს. მათ წინაშე სდგას ამოცანა—გაალრმავონ, სრულყონ თავიანთი შეიარაღების ოსტატობა.

ავიღოთ სასროლე მომზადება. „ჩამუხლვლითი სროლის" ვარჯიშში ბევრ ძველმსახურს ჰქონდა დამაკმაყოფილებელი შეფასება. რატომ? — ცოტას ვარჯიშობდნენ ამ საქმეში. ანდა ავიღოთ ვარჯიში — „სროლა სირბილით", ეს სროლის რთული სახეა და ნაცად ჯარისკაცისაგანაც კი დიდ მუშაობას მოითხოვს.

ასევე ითქმის ტაქტიკის შესახებაც. ჩვენ სუსტად დავამუშავეთ ცალკეული მებრძოლის მოქმედება ათეულისა და ოცეულის შემადგენლობაში და დაზვერვაში. ოცეულის ყველა ოფიცერსა და ათეულის მეთაურს როდი შეუძლია სრულყოფილად მოაწყოს, ვთქვათ, ღამის ძიება ან დაზვერვა დასახლებულ პუნქტში. ან ავიღოთ მეკავშირის მოქმედება ბრძოლის პირობებში. ყველას, თვით ჩვენს გამოცდილ მებრძოლსაც კი, როდი შეუძლია შეასრულოს ეს ამოცანა წესდების მიხედვით. ასუსტადაა დამუშავებული ბრძანების სწორად და ზუსტად გადმოცემის უნარიანობა და ა. შ.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია შეასწავლო მებრძოლებს სხვა სამხედრო სპეციალობა. ამას წინათ მე ვესაუბრე ერთ ფრიადოსან მსროლელს.

— შეგიძლია თუ არა ტანკსაწინააღმდეგო თოფის სროლა? — შევეკითხე მას.

— არ შემიძლია. მე ხომ ტანკსაწინააღმდეგო თოფის მსროლელი არა ვარ?

— მაგრამ ბრძოლაში ტანკს რომ შეხვდე?

— მეც მაშინ შევისწავლი.

„მაშინ" — გვიან იქნება. აი რატომ არის, რომ სამხედრო საბჭოს ბრძანების შესაბამისად ჩვენს გეგმაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი გამოცდილი ჯარისკაცების მიერ მომიჯნავე სპეციალობათა შესწავლას. ახალი სასწავლო წლის პირველსავე ნახევარში ჩვენ შევისწავლით ბატალიონის ნაღმსატყორცნს, ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანს, ტანკსაწინააღმდეგო თოფს, დაზგის ტყვიამფრქვევს.

ახალი პროგრამით სწავლების პირველ დღეებიდანვე ჩვენს ათეულებსა და ოცეულებს მოვამზადებთ წითელი არმიის XXVII წლისთავის დღესასწაულის დროს საფრონტო დათვალიერებაში მონაწილეობისათვის. მე ვფიქრობ, რომ საუკეთესო ოცეულების დათვალიერებაში მონაწილეობის კანდიდატი შეიძლება იყოს უმცროსი ლეიტენანტ გაჯიევის მოწინავე ოცეული, მაგრამ განა მარტო ის? თვითეული ოცეული იბრძოლებს დათვალიერებაში მონაწილეობის საპატიო უფლებისათვის. და გაჯიევსაც ცოტა მუშაობა როდი მოუხდება, რომ არ დაჰკარგოს პირველობა, რომელიც მან ზაფხულში მოიპოვა.

ასეულის მეთაური ლეიტენანტი ნ. კოსოვეცი.

განვახორციელოთ სტალინური იდეები!

კაპიტან კაკარავას ბატალიონის კომკავშირულ კრებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

აგიტატორის სიტყვა

აგიტატორის ეფრეიტორ გოგუას სიტყვიდან

ახლა ჩვენთვის, აგიტატორებისათვის, არ არის იმაზე უფრო საპატიო და კეთილშობილური ამოცანა, ვიდრე დიადი სტალინური იდეების პროპაგანდა წითელარმიულ მასებში. აგიტატორის მგზნებარე სიტყვა ეხმარება მებრძოლებს, რათა ღრმად შეითვისონ დიდი სტალინის გენიალური მოხსენება და ბრძანება.

სტალინური დოკუმენტების შესწავლის დროს ზოგიერთი ჩვენი აგიტატორი იყენებს არასწორ მეთოდს: ისინი თავს უყრიან მებრძოლებს 1-2 საათით, უკითხავენ მათ მოხსენების ტექსტს ან დამატებით ლიტერატურას და ამით თავის საქმეს დამთავრებულად სთვლიან.

მე გიამბობთ ჩემი მეთოდის შესახებ. საავიტაციო მუშაობისათვის არა მაქვს გამოყოფილი სპეციალური საათები და დღეები. ამ მუშაობას ვეწევი განუწყვეტლივ, რისთვისაც ვიყენებ შესვენებებს და მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს. მეორე შესვენების დროსაც კი ვპოულობ დროს, რომ ვესაუბრო ორ-სამ მებრძოლს, გამოვარკვიო რა არის მათთვის გაუგებარი, რა აინტერესებთ და დავეხმარო გაერკვნენ რთულ საკითხებში. სადაც კი არ უნდა ვიყო—სასროლეთზე, ტაქტიკურ მეცადინეობაზე თუ ყაზარმაში, — მე ყოველთვის მაქვს სამუშაო. ჩემთან მოდიან მებრძოლები, მაძლევენ შეკითხვებს, მთხოვენ რჩევა-დარიგებას იმის შესახებ, თუ რა წაიკითხონ. ხშირად გაიმართება ხოლმე ამხანაგური საუბარი, მებრძოლები გამოსთქვამენ თავიანთ შეხედულებებს. ეს კი მეხმარება გავიგო, თუ რას საჭიროებს ესა თუ ის მებრძოლი, რა საკითხებში უნდა დახმარება.

აგიტატორის საუბარი საინტერესოა და ქმედითი მხოლოდ მაშინ, როცა იგი დაკავშირებულია ქვეგანაყოფის ცხოვრებასთან. ამიტომ სტალინური დოკუმენტების პროპაგანდის დროს მე მჭიდროდ ვუკავშირებ მათ ჩვენი ოცეულის ცხოვრებას. როცა ვლაპარაკობ წითელი არმიის დიად გამარჯვებებზე, ვასახელებ ჩვენს ფრიადოსნებს, მოვუწოდებ მებრძოლებს გადმოიღონ მათგან მაგალითი, არ ვივიწყებ იმათაც კი, რომლებიც არღვევენ შინაგანაწესს, ცუდად უვლიან იარაღს.

ამჟამად აგიტატორებმა კიდევ უფრო მეტი დაძაბვით უნდა იმუშაონ, რომ თითოეულ მებრძოლს ღრმად შეაგნებინონ დიდი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ბრძნული მოხსენება და ბრძანება.

★ ★ ★

ბელადის მიერ შექება გვავალდებულებს

კომორგ ხაჩავას სიტყვიდან

ამხანაგმა სტალინმა დიდი ოქტომბრის XXVII წლისთავზე თავის ისტორიულ მოხსენებაში მაღალი შეფასება მისცა გმირულ საბჭოთა ახალგაზრდობას, უდიდესი ბედნიერებაა დაიმსახურო ქება დიდი ბელადისაგან. იგი ახალგაზრდა პატრიოტთა გულში ნერგავს ახალ ძალ-ღონეს, იწვევს მათში სიამაყისა და უდიდესი სიხარულის გრძნობას.

მაგრამ ეს ქება მეტ რამეს ავალდებულებს ჩვენს ახალგაზრდობას, და პირველ რიგში, მის ავანგარდს — კომკავშირს. ყოველთვის და ყველაფერში ბელადის მაღალი შეფასების ღირსნი რომ ვიყოთ, მთელი ჩვენი ენერგია, მთელი ჩვენი ძალ-ღონე და ცოდნა უნდა მოვახმაროთ ბელადის ისტორიულ მითითებათა შესრულებისათვის ბრძოლის საქმეს.

ჩვენი ბატალიონის კომკავშირული ორგანიზაცია სამართლიანად ითვლება მეთაურის დასაყრდენად. ჩვენმა ბატალიონმა ზაფხულის პერიოდში ყველა სახის საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში ნაწილში პირველი ადგილი დაიკავა. ამ მხრივ ცოტა დამსახურება როდი მიუძღვის ჩვენს კომკავშირულ ორგანიზაციას. კომკავშირელთა უმეტესობას ფრიადი შეფასება აქვს. მათ პირადი მაგალითით გაიყოლიეს კავშირგარეშე ახალგაზრდობა.

ამხანაგ სტალინის მოხსენებამ და ბრძანებამ კომკავშირელებსა და კავშირგარეშე ახალგაზრდობაში დიდი აღმაფრენა გამოიწვია. მებრძოლები და სერჟანტები დიდი ინტერესით შეუდგნენ ბრძნული სტალინური დოკუმენტების შესწავლას. ამ საქმეში კომკავშირული ორგანიზაცია მათ ცოტა დახმარებას როდი უწევს. კომკავშირული განათლების წრეების ყველა ხელმძღვანელი, აგიტატორი და წამკითხველი უზრუნველყოფილია ლიტერატურით, ვატარებთ მათთან ინსტრუქტაჟს. კომკავშირულ მხატვართა ინიციატივით ლენინის ოთახში მოეწყო კარგად გაფორმებული ვიტრინა, რომელიც თვალსაჩინოდ ასახავს ამხანაგ სტალინის ბრძანებასა და მოხსენებას.

დასაკვირველია, აქით არ ამოიწურება მუშაობა სტალინური დოკუმენტების შესწავლის საქმეში. საჭიროა რომ ყოველმა კომკავშირელმა პირადად, ფანქრით ხელში, რამდენჯერმე დაკვირვებით წაიკითხოს ამხანაგ სტალინის მოხსენება და ბრძანება, ღრმად ჩასწვდეს ყოველ სტალინურ სიტყვას, აწარმოოს სათანადო ჩანაწერები და სხვ.

მე შემიძლია დავასახელო ის კომკავშირელთა ჯგუფები, რომლებიც სერიოზულად და საფუძვლიანად სწავლობენ სტალინურ დოკუმენტებს. კომკავშირელმა სერჟანტმა ზიგურიამ ბელადის მოხსენებიდან ორი ნაწილის კონსპექტი, წაიკითხა ამხანაგ სტალინის მიერ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გაკეთებული მოხსენება, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუცია და სხვა ლიტერატურა, ის არა მარტო თვითონ ერკვევა კარგად პოლიტიკურ საკითხებში, არამედ ეხმარება თავის ამხანაგებსაც, რათა მათ უფრო ღრმად შეითვისონ სტალინური იდეები. ბეჯით და დაუღალავად მუშაობენ თავიანთ თავზე კომკავშირელები: ცხვარაძე, ფალიაშვილი, ბენაშვილი, ლომიაშვილი და მრავალი სხვ.

სტალინური დოკუმენტების ღრმად შესწავლა ხელს უწყობს სამხედრო დისციპლინის განმტკიცებას, სამხედრო მომზადების ხარისხის ამაღლებას.

მიუხედავად ამისა, სტალინური დოკუმენტების შესწავლის პირველი შედეგების საერთო ფონზე ჩვენ გვაქვს ყოვლად შეუწყნარებელი ფაქტებიც. მაგალითად ცალკეული კომკავშირელები ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს გულგრილად ეკიდებიან. ი. ამ [illegible] კომკავშირელები რომანიშვილი და არაბაშვილი. მათ ჯერ კიდევ არ წაუკითხავთ ამხანაგ სტალინის მოხსენება და ბრძანება. შემთხვევითი არ არის ის, რომ ეს ამხანაგები ხშირად ნაწილში, არღვევენ სამხედრო დისციპლინას. გუშინ, როდესაც მეცადინეობიდან ბრუნდებოდნენ, ისინი დაუდევრად მოეკიდნენ [illegible], რის გამო კინაღამ იგი წყობილებიდან გამოიყვანეს.

ამხანაგმა სტალინმა ჩვენს წინაშე დასახა დიდი ამოცანები, რომელთა შესრულების საქმეში კომკავშირელები მოწინავენი უნდა იყვნენ და თან გაიყოლიონ წითელარმიელთა ფართო მასები.

ვისწავლოთ მხოლოდ „ფრიადზე“

უფროს ლეიტენანტ შამუგიას სიტყვიდან

სტალინური დოკუმენტების პროპაგანდის საქმეში კომკავშირული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა მუშაობამ შესამჩნევი გავლენა მოახდინა ბატალიონის პირადი შემადგენლობის საბრძოლო აქტიობის ზრდაზე. ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს ამას წინათ ჩატარებული ტაქტიკური მეცადინეობა და ღამის ხროლები. თითქმის ყველა კომკავშირელმა ამოცანა „ფრიადზე“ და „კარგზე“ შეასრულა. ამ ხნის განმავლობაში ფრიადოსან კომკავშირელთა რიგებს შეემატა 18 კაცი.

მაგრამ ჩვენს რიგებში არიან ისეთი კომკავშირელებიც, რომლებმაც დაივიწყეს თავიანთი მოვალეობა. მე მახსოვს, კომკავშირელი ხიპატიანიძე დაგვპირდა, რომ გახდებოდა სწავლის ფრიადოსანი, დაუღალავად იმუშავებდა თავისი იდეური დონის ასამაღლებლად, მაგრამ მან სიტყვა საქმედ ვერ აქცია.

ჩვენმა ბატალიონმა წარმატებით დაამთავრა სწავლების ზაფხულის პერიოდი. ამჟამად ჩვენს წინაშე დგას ახალი, უფრო რთული ამოცანები. ჩვენ უნდა ვამრავლოთ განვლილი პერიოდის წარმატებანი და ახალ სასწავლო წელს მოვიპოვოთ მხოლოდ ფრიადი მაჩვენებლები საბრძოლო სწავლებაში.

★

მეტი ყურადღება აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს

სერჟანტ ტალიაშვილის სიტყვიდან

მე ვხელმძღვანელობ კომკავშირული განათლების წრეს. უნდა ითქვას, რომ ჩემი წრის კომკავშირელები დიდი ყურადღებით სწავლობენ სტალინურ დოკუმენტებს. მოხსენებისა და ბრძანების ტექსტის გარდა ისინი კითხულობენ დამატებითს ლიტერატურასაც. კომკავშირელმა ყულიჯანოვმა და ბენაშვილმა წაიკითხეს გაზეთ „პრავდის“ მოწინავე წერილები — „სტალინის წინამძღოლობით დავამთავრებთ მტრის განადგურებას“, „გმირი საბჭოთა ხალხი“, „საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა“, თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილებანი და მთელი რიგი სხვა მასალები.

მეცადინეობაზე მსმენელები ყოველთვის იძლევიან მრავალ შეკითხვას. ეს მოწმობს სტალინური დოკუმენტების ღრმად შეთვისებისათვის ალღრულ უდიდეს ინტერესს. მე, როგორც წრის ხელმძღვანელი, ყოველთვის როდი ვაკმაყოფილებ ჩემს მსმენელებს. ჩემს წინაშეც წამოიჭრება ხოლმე გაურკვეველი საკითხები, რომელთა დამოუკიდებლად დაძლევა არ შემიძლია. ამიტომ ჩვენთვის, წრეების ხელმძღვანელებისათვის, აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისათვის საჭიროა მოეწყოს კონსულტაციები, ლექციები და საუბრები, რომლებიც გაამდიდრებენ ჩვენს ცოდნას.

ახალი საბრძოლო მიღწევებისათვის

ასეულის კომორგის ხურციძის სიტყვიდან

ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებასა და ბრძანებაში გააშუქა ჩვენი ხალხის მიერ განვლილი გამარჯვების გზა. მან გვიჩვენა ნათელი გზა ჩვენი მომავლისაკენ. დიდი ბელადის ბრძნულმა სიტყვებმა აღჭურვა ჩვენი პარტია და ხალხი ახალი იდეური იარაღით. ამხანაგმა სტალინმა მოკლედ და მკაფიოდ გააშუქა ყველა საკითხი, რომელიც კი აღელვებს თითოეულ საბჭოთა ადამიანს.

მე ყოველდღე დიდი ყურადღებით ვკითხულობ ამ ისტორიულ დოკუმენტებს და ყოველთვის იზრდება ჩემი სურვილი უფრო ღრმად შევიგნო ყველა საკითხი, რომელთაც შეეხო დიდი ბელადი და მასწავლებელი. მე ერთხელ კიდევ წავიკითხე ამხანაგ სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც ლაპარაკია მეორე ფრონტზე. ახლა ჩემთვის აშკარა შეიქმნა, თუ როგორ გაიზარდა და განმტკიცდა სამი უდიდესი სახელმწიფოს მეგობრობა, რომლებსაც ისტორიამ დააკისრა ფაშისტური ბნელეთის მოციქულობისაგან მთელი კაცობრიობის ხსნის ამოცანა. მე ვკითხულობ ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნებულ პროპაგანდისტულ და მოწინავე სტატიებს, რომლებიც მეხმარებიან ღრმად გავიაზრო ამხანაგ სტალინის სიტყვები.

მაგრამ სტალინური დოკუმენტების შესწავლის დროს ჩემს წინაშე მთელი რიგი საკითხები წამოიჭრა, რომელთა დამოუკიდებლად გადაწყვეტა მე არ შემიძლია. მაგალითად, საკითხი საბჭოთა პატრიოტიზმის შესახებ, ომის შემდეგ მტკიცე მშვიდობიანობის შესახებ და სხვ. მე ვფიქრობ, რომ კომკავშირის ორგანიზაციის ბიურო შესძლებს ჩაატაროს ჩვენთვის მთელი რიგი კვალიფიციური ლექციები და მოხსენებები, როგორც ამ საკითხებზე, აგრეთვე სხვა საკითხებზეც.

სურათზე: კომკავშირელი უფროსი სერჟანტი ა. კოტიშაძე რიგით მებრძოლ ვ. ციმაკიძეს რუკაზე აჩვენებს წითელი არმიის ამ ათი დარტყმის რაიონებს, რომელთა შესახებ აღნიშნა ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში.



სურათზე: ასეულის კომორგი სერჟანტი ი. მახარაძე მებრძოლებთან ატარებს საუბარს ამხანაგ სტალინის მიერ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის შესახებ გაკეთებული მოხსენების ირგვლივ.

ფოტო ე. სტოლიაროვისა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
2 დეკემბრის ოპერატიული ცნობა
(დასახრული)

ტოლნა-ვეჯი, სიდრავი, კალოჩ ტენგელიცი, ნად-დოროგი, კურდი, დომბოვაზი, შანტოვი, პელირდი, ხარკანი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

* * *

ჩეხოსლოვაკიაში ჩვენი ჯარები კვლავ წინ მიიწევდნენ ბრძოლებით. მტერი, რომელმაც დაჰკარგა ხელსაყრელი თავდაცვითი ხაზები და დასაყრდენი პუნქტები, შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს ჩეხოსლოვაკიის ცენტრალური რაიონებისაკენ მიმავალ გზატკეცილებისა და რკინიგზების კვანძებზე. სრული უგზოობის პირობებში მოქმედმა საბჭოთა ნაწილებმა ბრძოლებით დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები მდინარე ონდავას დასავლეთ ნაპირზე. ქალაქ მიხალოვცეს ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა შენაერთებმა გადალახეს მდინარე ტოპოლია და სწრაფი იერიშის შედეგად დაიკავეს დასახლებული პუნქტი [illegible]. ამრიგად გადაჭრილია [illegible] გზატკეცილი, რომელიც მიჰყვება ფრონტის ხაზს. ხელთ ვიგდეთ 315 გერმანელი და უნგრელი, [illegible] და სამხედრო მასალა.

* * *

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები წარმატებით შეტევას განაგრძობდნენ. ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ მიიწევდნენ დუნაის დასავლეთ ნაპირის გასწვრივ, სწრაფი დარტყმის შედეგად დაიკავეს [illegible]

[illegible]

ბრძოლების განმავლობაში მიმართ ნაწინაღმდეგ დეგას 70 ჭავშანი და თვითმავალი, 180 ტყვიამფრქვეველი და ბევრი სხვა სამხედრო ტექნიკა. დღის განმავლობაში, არასრული ცნობებით, ტყვედ წამოყვანილია 800 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ხომალდებმა, რომლებიც ბალტიის ზღვის სამხრეთ ნაწილში მოქმედებენ, ჩაძირეს გერმანელთა ტრანსპორტი.

* * *

გერმანელთა 44-ე ქვეითი დივიზიის კავშირგაბმულობის 44-ე ბატალიონის ეფრეიტორმა რიხარდ შულცმა, რომელიც ტყვედ ჩავარდა უკრაინის მე-3 ფრონტზე, განაცხადა:

„ბატალიონის ჩვენი დივიზიის ამოცანას დავალება მოგვცა ... [illegible]

[illegible]

საზღვარგარეთ

სამოკავშირეო მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 2 დეკემბერი. (ტასსი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ [illegible] მთელ სექტორში, ამ სექტორის ჩრდილოეთ ნაწილში მოკავშირეებმა მოწინააღმდეგის ჯარებისაგან გასწმინდეს [illegible] და ბრძოლებს აწარმოებენ [illegible] და ბეკში.

[illegible]

ლონდონი, 2 დეკემბერი. (ტასსი). [illegible]

[illegible] მე-5 არმიის ნაწილებმა [illegible] მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს. მდინარე [illegible] ჩრდილოეთით დაკავებულია მაღლობი მონტე [illegible].

★

ესპანეთის ფაშისტები გასაქცევად ემზადებიან

ბელგრადი, 2 დეკემბერი. (ტასსი). რადიოსადგური „სლობოდნა იუგოსლავია" გადმოგვცემს, რომ ზაგრებიდან მიღებული ცნობებით ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში იქ ძლიერ აიწია ოქროს და უცხოეთის ვალუტის კურსმა. ეს იმით აიხსნება, რომ უსტაშთა მეთაურები, გასაქცევად რომ ემზადებიან, ყიდულობენ ოქროს და ვალუტას. რადიოსადგურის ცნობით, [illegible] თანამშრომლები და უსტაშთა სხვა მეთაურები ცდილობენ მიიღონ საზღვარგარეთის პასპორტები. მარტო ერთ დღეს მათ 40 პასპორტი მიიღეს შვეიცარიაში შესასვლელად.

კალენდრის ფურცელი

კვირა

3

დეკემბერი

1920 — წითელმა არმიამ უკრაინაში მოახდინა მახნოს ბანდების ლიკვიდაცია.

ნარკვევი

ქვის წვიმები

გსმენიათ რომ თქვენ — ქვის წვიმა მოვიდა, რას იტყვით? გაგეცინებათ, იქნებ სულელადაც მიგვიჩნიოთ.

მაგრამ ქვის წვიმა მართლაც არა ერთხელ მოსულა.

823 წელს გერმანიაში მოვიდა ქვის წვიმა, 921 წელს — იტალიაში, 1866 წელს — უნგრეთში, სადაც 1,000 ქვაზე მეტი ჩამოვარდა. [illegible]

[illegible]

1790 წელს საფრანგეთში ჩამოვარდა დიდი მეტეორი, [illegible] 300 მეტრზე [illegible]

[illegible] 17,600 კილოგრამი [illegible]

1896 წელს [illegible]

1892 წ. [illegible] 14 მეტრი [illegible] 80,000 კილოგრამი. 1935 წ. [illegible]

[illegible] „ვარსკვლავი — ვიდავა მოკვდა" [illegible]

გამოკვლეულია, რომ ყოველწლიურად 35 მილიონამდე მეტეორი ვარდება დედამიწაზე.

დნეპრის აუზის აღდგენა

დნეპრი ძველთაგანვე წარმოადგენდა ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სატრანსპორტო არტერიას. აქ ნაოსნობა განუწყვეტლივ იზრდებოდა. დიდი სამამულო ომის წინაზანგში დნეპრზე მუშაობდა დიდი სომძლოვრისა და ტივის მქონე ფლოტი. დაახლოებით 2000 გემი დაცურავდა დნეპრში. მათ გადაჰქონდათ ქვანახშირი, ნავთობი, მადანი, ხე-ტყე, ფოსფორიტი, რითაც ეხმარებოდნენ ჩვენი ქვეყანა.

დნეპრის აუზი ცნობილი იყო მექანიზირებული ნავსადგურებით, ნავმისადგომებით, გემშეკეთებელი ქარხნებით და სახელოსნოებით. დნეპრის ხომალდთა ტრანსპორტზე სტახანოველი მოძრაობის სამშობლო იყო.

როდესაც დაიწყო დიდი სამამულო ომი, დნეპრელები მუშაობდნენ განსაკუთრებული თავდადებით, [illegible]

[illegible]

1943 წლის სექტემბერში წითელი არმიის მამაცი ჯარები გავიდნენ დნეპრთან, შემდეგ დივიზიების რიგებში მებრძოლების მხარდამხარ მიდიოდნენ დნეპრელები. კარგად იმუშავეს მაშინ წყალტრანსპორტელებმა გადასასვლელებზე. პაველ დულოვი, ტოკარევი,

ლისიცინი და სხვ. მოაწყვეს გადასასვლელები ნავებზე, ტივებსა და ბორნებზე. ერთ ღამეში 68 წლის პაველ დულოვმა გადაიყვანა მდინარეზე 800 მებრძოლი და ოფიცერი.

იხევდნენ რა წითელი არმიის დარტყმებით, გერმანელებმა ჩაძირეს ფლოტი, დაანგრიეს ნავსადგურები, ყველაზე უფრო ძვირფასი მოწყობილობა გაზიდეს გერმანიაში. მწყობრიდან გამოყვანილ იქნა დნეპრის აუზის უდიდესი ნავსადგურები — კიევისა და დნეპროპეტროვსკის.

დნეპრის აუზის წყალტრანსპორტელების წინაშე იდგა ამოცანა უმოკლეს ვადაში აღედგინათ უმნიშვნელოვანესი წყლის მაგისტრალი და ნავიგაციის მიმდინარე პერიოდში გადაეზიდათ მრავალი ათასი ტონა ტვირთი.

საჭირო იყო ფრონტის მახლობლად, [illegible]

[illegible]

750 ტონა წყალწყვის [illegible]

[illegible] მოაწყვეს ნარტები გემსაწევი ხაზი ბატარა ლითონის კარჯაზე. მათ რკინის კასრებზე დააწყეს ხის მორები და საზღვეველების საშუალებით ასწიეს საბუქსირო გემი.

აღდგენითი სამუშაოები სწრაფად ვითარდებოდა, რადგან მოტანილ იქნა საჭირო მოწყობილობა. დნეპრელებისათვის დასახმარებლად ჩამოვიდა ბევრი წყალტრანსპორტელი ზურვის აუზებიდან.

ამტანობით უკვე აღდგენილია მდინარის ფსკერიდან მრავალი თვითმავალი და არათვითმავალი გემი, ჩატარდა დიდი მუშაობა ფლოტის აღსადგენად. მწყობრში ჩადგნენ გემშეკეთებელი ქარხნები და სახელოსნოები.

[illegible]

[illegible] 100 მეშა იყო ჩაბმული ამ ოპერაციაში. [illegible] ზეინკლებმა დაამზადეს ხელსაწყოები, რომლებიც ჯალამბარებს აერთებენ ორთქლის მანქანასთან. გემების აწევის მექანიზაციამ გაათავისუფლა ამ სამუშაოდან 80 მუშა.

აუზის აღმდგენელთა შორის ადგილი აქვს განსაკუთრებულ შრომით აღმავლობას, [illegible] წინათ ამოღებულ იქნა 8 გემი და 9 კარჯაპი,

[illegible]

[illegible] დროში აღადგინოთ დნეპრის სამდინარო მაგისტრალის მეურნეობა.

ა. კოვალენკო,

სსრკ სამდინარო ფლოტის სახალხო კომისარიატის დნეპრის სამხედრო-აღდგენითი სამმართველოს უფროსი.

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუხინი

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე შ. დარახველი